



# ENERGO-PRO

გამოცემის თარიღი:  
Date of Issue: 14.09.18.

ძალაში შესვლის თარიღი:  
Valid since: 17.09.18

მოქმედების ვადა: უვადო  
Valid till: Permanent

მიზანი: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ელექტროდანადგარებში და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების სამუშაოდ დაშვება

**Purpose (of implementing):** Work permission for representatives of other organizations into the electrical facilities and electricity transmission lines' protection area of JSC "Energo-Pro Georgia".

დოკუმენტის ტიპი:  
ბრძანება

Type of Document:  
Order

რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი:

Registration and file No.:  
DR2018032

სათაური: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ელექტროდანადგარებში და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების სამუშაოდ დაშვების შესახებ

**Title:** On work permission for representatives of other organizations into the electrical facilities and electricity transmission lines' protection area of JSC "Energo-Pro Georgia".

დამტკიცებულია:

Approved by:

ხელმძღვანელის

თანამდებობა

Position of Manager:

სახელი:

Name:

გენერალური დირექტორი  
General Director

მიხეილ ბოცვაძე  
Mikheil Botsvadze

ხელმოწერა:  
Signature:

თარიღი:  
Date:

<p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის #340 დადგენილების „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს (შემდგომში კომპანია) ელექტროდანადგარებში და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების სამუშაოდ დაშვების მიზნით,</p>	<p>With work permission purpose for representatives of other organizations in electrical facilities and electricity transmission lines' protection areas of JSC "Energo-Pro Georgia" (hereinafter the company) in accordance with the Resolution No 340, December 17, 2013 of Georgian Government on "Safety technique rules during the maintenance of electrical facilities",</p>
<p>ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ</p>	<p>I ORDER</p>
<p>1. კომპანიის ელექტრულ ქსელებში ან/და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების (შემდგომში-ეგხ) დაცვის ზონაში სამუშაოდ არ დაიშვას სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები (შემდგომში-სსო), რომლებსაც არა აქვთ წარმოდგენილი საჭირო წერილობითი ინფორმაცია სამუშაოს შინაარსის, მოცულობის და შესრულების ვადების შესახებ, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირთა სია გვარების, ინიციალების, თანამდებობების და ელექტროუსაფრთხოების ჯგუფების მითითებით.</p>	<p>1. Construction-installing organizations (hereinafter the - CIO) that do not have presented required written form information on work content, volume and completion terms/deadlines indicating the list of surnames, initials, positions and electrical safety groups of persons responsible for safe fulfillment of works not to be allowed for work in company electrical networks or/and air electricity transmission lines' (hereinafter the ETL) protection zones.</p>
<p>2. თანხმობას სსო-ს პერსონალის სამუშაოზე დაშვებაზე გაცემს - 0,4/6/10 კვ ქსელში დაბალი ძაბვის ქსელის მართვის მენეჯერი, ხოლო - 35/110 კვ ქსელში მაღალი ძაბვის ქსელის მართვის მენეჯერი, საჭიროების შემთხვევაში განვითარების მენეჯერთან შეთანხმებით.</p>	<p>2. Approval on allowance of CIO personnel at work is issued – by Low Voltage Network Manager in 0,4/6/10 kv network, and High Voltage Network Manager in 35/110 kv network, upon agreement with Development Manager in case of necessity.</p>
<p>3. კომპანიის ელექტრულ ქსელებში სამუშაოს ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შემდეგ, დაევალოს შესაბამისი მომსახურების ცენტრის მთავარ ინჟინერს/მაღალი ძაბვის ექსპლუატაციის განყოფილების/ქვეგანყოფილების უფროსს მათ სამოქმედო არეალში უზრუნველყონ:</p>	<p>2. After issuance of the permission for work fulfillment in company electrical networks, chief engineer/head of High Voltage Maintenance Division/Subdivision of relevant SC to carry out the following in their activity area:</p>
<p>3.1. კომპანიის ელექტროდანადგარებში და ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში სამუშაოს დაწყებამდე სსო-ს პერსონალისთვის შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარება შრომის უსაფრთხოების საკითხებში, (ადგილობრივ თავისებურებათა და სამუშაო უბანზე საშიში ფაქტორების გათვალისწინებით), ხოლო სამუშაოს ხელმძღვანელ და მწარმოებელ პირებს ჩაუტარდეს დამატებითი ინსტრუქტაჟი ელექტროდანადგარების სქემებთან დაკავშირებით. ინსტრუქტაჟი დაფიქსირდეს ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში.</p>	<p>2.1. Conducting the introductory instruction in labor safety issues for the personnel of construction-installing organizations (hereinafter the CIO) (foreseeing the dangerous factors at working area and local characteristics). And additional instruction on electricity facility schemes to be conducted for work managers and work executors. Instructions should be registered in registration log.</p>

<p>3.2. სსო-ს პერსონალისთვის განწეს-დაშვების ან განკარგულების გაცემა, რომლითაც განისაზღვრება:</p>	<p>2.2. Issuance of work order or ordinance to CIO personnel by which the following is determined:</p>
<p>ა) ადგილები ელექტრულ სქემაში, სადაც უნდა განხორციელდეს ხილული გათიშვები, რომლებიც გამოაცალკეებენ სსო-ს სამუშაო ზონას;</p> <p>ბ) დამცავი დამიწებების დაყენების ადგილები;</p> <p>გ) სსო-ს სამუშაო ადგილების საზღვრები და შემოღობვების ტიპები; შემოღობვებმა უნდა გამორიცხოს შემოფარგლული ზონის გარეთ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის მომუშავის შეცდომით გასვლის შესაძლებლობას;</p> <p>დ) სამუშაო ზონაში შესასვლელი (გამოსასვლელი) და ტრანსპორტის შეყვანის (გამოყვანის) ადგილები;</p> <p>ე) სამუშაო ზონაში საშიში და მავნე ფაქტორების არსებობა – არ არსებობა.</p>	<p>a) Places in electric scheme where the visible suspensions are to be performed and that will separate working area of CIO;</p> <p>b) Installing places of protecting earthlings’;</p> <p>c) CIO working places boundaries and fencing types; fencing shall exclude possibility for mistaken going out of limited area by the worker of construction-installing organization;</p> <p>d) Places for entrance (exit) at working area and transport entrance (exit) places;</p> <p>e) Existence of dangerous and hazardous factors in working area.</p>
<p>4. კომპანიის ქსელში სსო-ს პერსონალის სამუშაოზე პირველადი დაშვება განხორციელოს განწესით ან განკარგულებით დანიშნულმა კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (დამშვებმა). განმეორებით დაშვებას ახორციელებს სსო-ს სამუშაოს ხელმძღვანელი (V საკვალიფიკაციო ჯგუფით).</p>	<p>3. First permission/allowance of CIO personnel at work in company network should be carried out by company authorized representative (person who permits) based on the work order or ordinance. The repeated allowance is carried out by CIO work managers (by V qualification group).</p>
<p>5. ძაბვის ქვეშე მყოფი 0,4 კვ ეგხ-ს დაცვის ზონაში სსო-ს პერსონალის სამუშაოზე დაშვებამდე, განწეს-დაშვების ბლანკის ცალკეულ მითითებებში უნდა მიეთითოს - „სამუშაო შესრულდეს სსო სამუშაოს ხელმძღვანელის მუდმივი მეთვალყურეობით. დასაშვები მანძილი 0,4 კვ-ის ძაბვის ქვეშე მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე მიმომუმ 1,5 მეტრი. ყოველი განმეორებითი დაშვება განხორციელდეს სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ“.</p>	<p>4. Before the CIO personnel are allowed at 0,4 kv electricity transmission line protection area under voltage, the following should be indicated in particular indication of work order blank – “work should be performed by constant supervision of CIO work manager. Admissible distance up to current carrying parts under the voltage is minimum 1, 5 m. Every repeated allowance should be carried out by work manager”.</p>
<p>6. სსო-ს პერსონალის სამუშაოზე დაშვებას 0,4 კვ ძაბვის ქვეშე მყოფი ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში, აგრეთვე მოქმედი სეგხ-ის გადაკვეთის მალში, აწარმოებს კომპანიის წარმომადგენელი (დამშვები). ამ შემთხვევაში დამშვები ახორციელებს სსო-ს თითოეული ბრიგადის პასუხისმგებელი ხელმძღვანელის და პასუხისმგებელი შემსრულებლის დაშვებას.</p>	<p>5. Allowance of CIO personnel at work in electricity transmission line protection area under 0, 4 kv voltage, also in crossing width of acting air electricity transmission line is carried out by company representative (person who permits). In this case, person who permits carries out allowance of responsible manager of each brigade of CIO and responsible executor.</p>
<p>7. აკრძალულია ძაბვის ქვეშე მყოფი 1 კვ-ზე მაღალი სეგხ-ს საყრდენებზე სსო-ს პერსონალის სამუშაოდ დაშვება.</p>	<p>6. It is forbidden to allow CIO personnel at air electricity transmission line abutments higher than 1 kv being under voltage for work purpose.</p>
<p>8. გამორთული სეგხ-ს დაცვის ზონაში დამშვებს უფლება აქვს დაუშვას მხოლოდ სსო-ს სამუშაოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, რომელიც შემდეგ თვითონ განხორციელებს დანარჩენი მომუშავეების დაშვებას.</p>	<p>7. Person who permits has right to allow only the manager responsible for CIO work In disconnected air electricity transmission line protection area who afterwards will perform allowance of the rest workers.</p>



<p>9. კომპანიის გამორთული სეგზ-ის დაცვის ზონაში, სსო-ს სამუშაო უბანზე, განწესით მუშაობისას, დამიწების დაყენება და მოხსნა უნდა განახორციელოს კომპანიის დამშვებმა, ამასთან, დაშვებისას ბრიგადის წევრად შეიძლება სსო-ს პერსონალიდან III ჯგუფის მქონე მომუშავეს ჩართვა.</p>	<p>8. During the working upon work order at CIO working area in disconnected air electricity transmission line protection area of the company, mounting of the earthlings and removal/taking out should be carried out by representative of the company who carries out allowance, herewith, III group category worker out of CIO personnel might be involved as brigade member.</p>
<p>10. საჭაერო ხაზის დაცვის ზონაში სსო-ს მიერ სამუშაოების ჩატარება სხვადასხვა გამოსაწვევანაწილებიანი ამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენებით, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ მანძილი ჰაერში ძაბვის ქვეშ მყოფ უახლოეს სადენებამდე მანქანიდან (მექანიზმიდან) ან მისი გამოსაწვევი ან ამწევი ნაწილებიდან, აგრეთვე მისი მუშა ორგანოდან ან ასაწვევი ტვირთის ყველა მდგომარეობიდან (მათ შორის, ყველაზე მაღლა აწევის ან გამოწვევის დროს) იქნება არაუმცირეს დანართი N.1-ში მითითებულისა.</p>	<p>9. Conducting of the works in air line protection area by CIO by using different pulling part lifting machine and mechanisms is admissible only with the condition that the distance in the air from the machine (mechanism up to the nearest wires being under the voltage or from its pulling or lifting parts, also from its operating part or from all position of lifting load (among these, while at the highest lifting or pulling out) will be not less than the one indicated in Annex No 1.</p>
<p>11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტს (ა. ნემსაძე)</p>	<p>10. Control on order fulfillment to be assigned to Labor Safety Department (A. Nemsadze)</p>
<p>12. წინამდებარე ბრძანების კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისთვის გაცნობა დაევალოს კომპანიის კანცელარიას.</p>	<p>11. Introduction of this order to the company structural entities to be assigned to the company chancellery.</p>

დასაშვები მანძილები ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისთვის  
Admissible distances up to current-carrying parts under voltage for construction installing organizations

საჰაერო ხაზის ძაბვა, კვ Airline voltage, kv	მანძილი, მ/Distance, m	
	მინიმალური /Minimal	მინიმალური, გაზომილი ტექნიკური საშუალებებით/Minimal, measured by technical means
1-მდე/up to 1 m	1,5	1,5
1-დან – 20-მდე/from 1 up to 20 m	2,0	2,0
20-დან – 35- მდე/from 20 up to 35 m	2,0	2,0
35-დან – 110-მდე/ from 35 up to 110 m	3,0	4,0